# საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

## საქპატენტი

- დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
- გასცემს დამცავ დოკუმენტებს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე;
- ანგარიშვალდებულია პრემიერ-მინისტრის წინაშე;
- თავმჯდომარეს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი 4 წლის ვადით.

# ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ობიექტები

- საავტორო და მომიჯნავე უფლებები;
- სასაქონლო ნიშანი;
- ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა;
- გამოგონება, სასარგებლო მოდელი;
- დიზაინი;
- მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები;
- **Know-how**/კომერციული საიდუმლოება;
- ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია;
- და სხვა

# საავტორო და მომიჯნავე უფლებები



- საავტორო უფლებები ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე.
- მომიჯნავე უფლებები ვრცელდება შემსრულებლებზე, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლებზე და მაუწყებლობის ორგანიზაციებზე.
- საავტორო უფლება მოიცავს ავტორის ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს.
- პირადი არაქონებრივი უფლებებია სახელის, პატივის, ღირსების დაცვა და ა.შ.
- საავტორო ქონებრივი უფლებებია ჰონორარის მიღების უფლება, ნაწარმოების გამოყენების აკრძალვის უფლება.
- ქონებრივი საავტორო უფლების მოქმედების ვადა - 70 წელი ავტორის გარდაცვალებიდან.



# სასაქონლო ნიშნები



- სასაქონლო ნიშანი განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლისა ან/და მომსახურებისაგან.

- სასაქონლო ნიშანი შეიძლება იყოს
  - სიტყვა




  - ბგერა



  - ფიგურა და ა.შ.



- სასაქონლო ნიშანი საქართველოს ტერიტორიაზე დაცულია მხოლოდ საქპატენტში მისი **რეგისტრაციით.**
- სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის მოქმედების ვადა შეადგენს 10 წელს და იგი შეიძლება შეუზღუდავად გაგრძელდეს ყოველი მომდევნო 10 წლით.

# ბრენდების 2011 წლის რეიტინგი

| # | Brand | Brand Value 2011 ($M) | % Brand Value Change 2011 vs. 2010 |
|---|---|---|---|
| 1 | | 153,285 | 84% |
| 2 | Google | 111,498 | -2% |
| 3 | IBM | 100,849 | 17% |
| 4 | | 81,016 | 23% |
| 5 | Microsoft | 78,243 | 2% |
| 6 | Coca-Cola * | 73,752 | 8% |
| 7 | at&t | 69,916 | N/A |
| 8 | Marlboro | 67,522 | 18% |
| 9 | 中国移动通信 CHINA MOBILE | 57,326 | 9% |
| 10 | GE | 50,318 | 12% |

# ადგილწარმოშობის დასახელება და გეოგრაფიული აღნიშვნა

- გეოგრაფიული აღნიშვნა - გეოგრაფიული ადგილის დასახელება, სადაც იწარმოება განსაკუთრებული პროდუქტი, რაც განპირობებულია იმ ადგილზე არსებული სპეციფიკური გარემო-პირობებითა და ადამიანური ფაქტორით.

- ასეთი ადგილი შეიძება იყოს ქვეყნის მიკროზონა, სოფელი, ქალაქი, რეგიონი და თავად ქვეყანაც.















# ქართული ადგილწარმოშობის დასახელებები და გეოგრაფიული აღნიშვნები

საქართველოში რეგისტრირებულია:

- მინერალური წყლების ადგილწარმოშობის 2 დასახელება

  ბორჯომი    ნაბეღლავი

- ღვინის ადგილწარმოშობის 18 დასახელება:

| | | |
|---|---|---|
| ღვინო „ხვანჭკარა” | ღვინო „ვაზისუბანი“ | ღვინო „კოტეხი“ |
| ღვინო „წინანდალი” | ღვინო „ნაფარეული“ | ღვინო „ტვიში” |
| ღვინო „მუკუზანი“ | ღვინო „ქინძმარაული“ | ღვინო „მანავი“ |
| ღვინო „ყვარელი“ | ღვინო „კახეთი“ | ღვინო „ახაშენი“ |
| ღვინო „კარდენახი“ | ღვინო „ატენი/ატენური“ | ღვინო „სვირი“ |
| ღვინო „ტიბაანი“ | ღვინო „გურჯაანი“ | ღვინო „თელიანი“ |

- ევროკავშირის ქვეყნებში დაცული გეოგრაფიული აღნიშვნების რაოდენობა შეადგენს 3080 ადგილწარმოშობის დასახელებასა და გეოგრაფიულ აღნიშვნას.

# დიზაინი

- დიზაინი: პროდუქტის გარეგანი სახე, გამოსახულება.







დიზაინი ექვემდებარება დაცვას (რეგისტრაციას), თუ მას აქვს:

**სიახლე**

და

**ინდივიდუალური ხასიათი**

დიზაინის რეგისტრაციის ვადაა 25 წელი








# პ ა ტ ე ნ ტ ი




- პატენტით იცვება გამოგონება და სასარგებლო მოდელი.
- გამოგონება პატენტუნარიანია, თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:
    - სიახლეს,
    - საგამომგონებლო დონესა და
    - სამრეწველო გამოყენებადობას.





- პატენტის მოქმედების ვადაა 20 წელი.

# საქპატენტთან არსებული
# სააპელაციო პალატა

- სააპელაციო პალატა იხილავს ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე საქპატენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ დავებს;
  - ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან დაკავშირებული საქპატენტის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო პალატაში შესაბამისი გადაწყვეტილების გამოქვეყნების/ჩაბარების დღიდან 3 თვის ვადაში;
  - სააპელაციო პალატა იხილავს საჩივარს და გამოაქვს გადაწყვეტილება მისი შეტანის დღიდან 3 თვის ვადაში;
  - სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შეიძლება 1 თვის ვადაში გასაჩივრდეს სასამართლოში.

# ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრი

- ტექნოლოგიების გადაცემის ცენტრი (TTC), დააკავშირებს ბიზნესსა და გამომგონებლებს, იმისათვის, რომ მოხდეს გამოგონების კომერციალიზაცია, ანუ ბიზნესში ჩაშვება. მსოფლიოში როგორც წესი მსგავსი ცენტრები ფუნქციონირებს უნივერსიტეტების ბაზაზე.

- საქართველოში TTC პროექტი ხორციელდება GIZ-სა (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია) და WIPO-ს (ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია) მხარდაჭერით.

# სანქციები

- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებათა დარღვევისათვის საქართველოს ***ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი*** ითვალისწინებს ჯარიმას.

  ჯარიმის მინიმალური ოდენობა: 500 ლარი;

  ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა: 5000 ლარ.

- გარკვეულ შემთხვევაში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებების დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ***სისხლის სამართლის კოდექსში.***

  მინიმალური სასჯელი: ჯარიმა;

  მაქსიმალური სასჯელი: 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

623017

ბმულები:

# სასაქონლო ნიშნების მონაცემთა ბაზა.

მონაცემთა ბაზები    ძიების რეზულტატები    დახმარება    ამობეჭდე    გაუგზავნე
<< უკან    წინ >>

## რეგისტრაცია

| | |
|---|---|
| რეგისტრაციის ნომერი | M 2005 15883 R |
| შეტანის თარიღი | |
| რეგისტრაციის თარიღი | 2005-03-01 |
| რეგისტრაციის ვადის გასვლის თარიღი | 2015-03-01 |
| სტატუსი | |
| საქონლის და/ან მომსახურების კლასები (ნიცის კლასიფიკაცია) | 09 |
| საქონლის ჩამონათვალი | 9 - სათვალეები; მზის სათვალეები; ჩარჩოები; ბუდეები. |

## მფლობელი

| | |
|---|---|
| მფლობელი | შანელ სარლ |
| მფლობელის მისამართი | ბურგსტრასე 26, CH-8750 გლარუსი, შვეიცარია |
| განმცხადებლის/მფლობელის ქვეყანა | CH |

## წარმომადგენელი

| | |
|---|---|
| წარმომადგენელი | გურამ ციციშვილი |
| წარმომადგენლის მისამართი | ილია ჭავჭავაძის გამზ. 11,, 0179 თბილისი, საქართველო |

## სასაქონლო ნიშანი

| | |
|---|---|
| გამოსახულებითი ელემენტების კოდები (ვენის კლასიფიკაცია) | |
| სიტყვიერი სასაქონლო ნიშნის ტრანსლიტერაცია | შანელ |
| სიტყვიერი სასაქონლო ნიშანი | CHANEL |

© საქპატენტი. ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი, 2006-2011
დამზადებულია ITDC-ს მიერ.